



## საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 15 ივლისი, 2016 წელი

დრო: 17:30 – 18:30 საათი

შეხვედრის ადგილი: ქალაქი ბათუმი

### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. კახა გოგოლაშვილი - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
2. ლაშა ტულუში - აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული კოორდინატორი, ლიბერალური აკადემია თბილისი
3. ანა ნაცვლიშვილი - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
4. ლია თოდუა - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
5. ანზორ დუნდუა - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ენერგორესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
6. მანანა დევიძე - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"
7. ნუკრი ყველაშვილი - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ახალგაზრდული ალტერნატივა
8. მარიამ ოზაშვილი - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საერთო სამოქალაქო მოძრაობა "მრავალეროვანი საქართველო"

## განსახილველი საკითხები:

- „ენერგოეფექტურობის ფონდი“-ს თავმჯდომარის, ბატონი ვახტანგ ზარქუას წინადადების განხილვა პლატფორმის რეფორმირებასთან დაკავშირებით.
- გაწვევრიანების საკითხი
- პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება
- სხვა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად საბჭომ განიხილა „ენერგოეფექტურობის ფონდი“-ს თავმჯდომარის, ბატონი ვახტანგ ზარქუას წინადადება პლატფორმის რეფორმირებასთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე. პლატფორმის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წესდებაში რიგი პროცესების ქვორუმით შეზღუდვა ხშირად ართულებს გადაწყვეტილების მიღებას, ამდენად წარადგინა ინიციატივა ქვორუმი დაიწიოს 1/3-მდე. ასევე გამოთქვა მოსაზრება, რომ თუ პლატფორმის სხვა წევრი ორგანიზაციები საკითხთან დაკავშირებით თავიანთ აზრს არ დააფიქსირებენ, მათი ხმა ჩაითვალოს დადებითად. გარდა ამისა, ბატონმა კახამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი გამოწვევა გახლავთ წევრ ორგანიზაციებს შორის კომუნიკაციის სირთულე.

რამდენადაც, მეოთხე სამუშაო ჯგუფს აქვს Facebook გვერდი და მას აქტიურად იყენებს, გამოითქვა მოსაზრება წევრებს შორის კომუნიკაცია განხორციელდეს Facebook ქსელის მეშვეობით. თავმჯდომარემ კოორდინატორებს სთხოვა, თავად შექმნან ან ჯგუფის რამდენიმე წევრს სთხოვონ ჯგუფის დახურული Facebook გვერდის შექმნა, სადაც ჯგუფის წევრებს შესაძლებლობა ექნებათ ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი მოსაზრებები, იმსჯელონ აქტუალურ საკითხებზე, შეთანხმდნენ დღის წესრიგზე და სხვა. ასევე გამოითქვა წინადადება პლატფორმაში გაწვევრიანების ერთ-ერთ წინაპირობად Facebook ანგარიშის ქონა განისაზღვროს.

მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა ლია თოდუამ საბჭოს წევრებს ამცნო, რომ მას მომზადებული აქვს მეორე სამუშაო ჯგუფის იმ წევრების სია, რომლებიც სათანადოდ არ ერთვებიან ჯგუფის სამუშაო პროცესში და აპირებს მათთან პირადად შეხვედრას ჯგუფის სამუშაო პროცესში მათი პასიურობის აღმოფხვრის მიზნით.

პლატფორმის რეფორმირების საკითხის განხილვის შემდგომ, საბჭომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

- ✚ დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკოორდინაციო საბჭოში (სამდივნოს მეილზე [np@ei-lat.ge](mailto:np@ei-lat.ge)) გამოაგზავნონ წესდებისა და მთლიანად პლატფორმის ფუნქციონირების წესთან დაკავშირებული წინადადებები
- ✚ წინადადებების მიღება იწარმოოს 2016 წლის 30 სექტემბრამდე

- ✚ საკოორდინაციო საბჭომ 2016 წლის ოქტომბერ-ნოემბერში განახორციელოს კონსულტაციები ყველა საინტერესო წინადადების ავტორთან
- ✚ 2016 წლის დეკემბერში, შემოსულ წინადადებებზე დაყრდნობით, საკოორდინაციო საბჭომ შეიმუშაოს ახალი წესდების პროექტი და წარუდგინოს პლატფორმის წევრებს განსახილველად. მუშაობის ამ ეტაპზე საბჭოს ასევე შეუძლია მოიწვიოს პლატფორმის დაინტერესებული წევრები სამუშაო პროცესში მონაწილეობისთვის
- ✚ 2016 წლის იანვარში საკოორდინაციო საბჭომ, წევრი ორგანიზაციების წინადადებების გათვალისწინებით დაასრულოს ახალი წესდების პროექტზე მუშაობა
- ✚ 2016 წლის თებერვალში ახალი წესდება განიხილოს და დაამტკიცოს საერთო კრებამ

შემდეგ საკითხად საბჭომ განიხილა ორგანიზაციის: „საქართველოს ფერმერთა ასოციაცია“ გაწევრიანების საკითხი. მსჯელობის შემდეგ საკოორდინაციო საბჭომ აღნიშნული ორგანიზაციის გაწევრიანების საკითხი დადებითად გადაწყვიტა.

შეხვედრაზე ეროვნულმა კოორდინატორმა ბატონმა ლამა ტულუშმა, საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ საქართველოს მთავრობასა და საქართველოს ეროვნულ პლატფორმას შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმით გათვალისწინებულია მთავრობასთან ყოველწლიური მაღალი დონის ერთობლივი კონფერენციის გამართვა, სადაც საქართველოს ეროვნული პლატფორმა მთავრობას წარუდგენს ასოციირების შესახებ შეთანხმებასთან უშუალოდ დაკავშირებულ მნიშვნელოვან წინადადებებსა და რეკომენდაციებს. ამისთვის კი თითოეულ სამუშაო ჯგუფს ეძლევა შესაძლებლობა შეიმუშავოს პოლიტიკის დოკუმენტები საქართველო-ევროკავშირის ასოციირების ხელშეკრულების სექტორალური მიმართულებების, ასოციირების დღის წესრიგისა და მისი იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმის პრიორიტეტულ საკითხებზე.

პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების პროცედურებსა და წესებთან დაკავშირებით საბჭომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

- ✚ პოლიტიკის დოკუმენტი უნდა გვთავაზობდეს ცვლილებებს, რომლებიც აუმჯობესებს ასოციირების შეთანხმების განხორციელების მექანიზმებს ან კონკრეტულ მიმართულებებს. მაგ: ადმინისტრაციულ, საკადრო, ფინანსურ, გარემოსა და სოციალურ სფეროს, ეკონომიკას, ადამიანის უფლებებს, კარგი მმართველობის პრინციპებს, საერთაშორისო ქმედების ეფექტიანობას, საერთაშორისო პოლიტიკაზე ზეგავლენის შესაძლებლობასა და ა.შ
- ✚ საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრმა ორგანიზაციებმა ჯგუფურად ან/და ინდივიდუალურად უნდა წარმოადგინონ ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების იდეა და დოკუმენტზე მომუშავე ექსპერტების სახელი და გვარი
- ✚ პოლიტიკის დოკუმენტების თემატიკა და მასზე მომუშავე ექსპერტები შეირჩევიან შესაბამის თემაზე მუშაობის და პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებაში გამოცდილების საფუძველზე
- ✚ შემოთავაზებულ წინადადებებს განიხილავს და დაამტკიცებს საკოორდინაციო საბჭო

- ✚ დოკუმენტის მომზადების პროცესში თითოეული სამუშაო ჯგუფიდან ჩაერთვება საშუალოდ 8 ორგანიზაცია, რომლებიც ჯგუფურად ან/და ინდივიდუალურად შემუშავებენ პოლიტიკის დოკუმენტებს
- ✚ პრიორიტეტი მიენიჭოს ჯგუფების (2-3 ორგანიზაცია) მიერ შემოთავაზებულ წინადადებებს
- ✚ ორგანიზაციებს, რომელთა იდეაც მოწონებული იქნება ჩაუტარდებათ სემინარი პოლიტიკის დოკუმენტის წერის პრაქტიკაში
- ✚ თითოეული ორგანიზაციის მიერ მითითებულ ექსპერტზე გამოიყოს 375 ევროს ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.
- ✚ 2016 წლის 1 აგვისტომდე საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრმა ორგანიზაციებმა პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების თემა და საკითხის აქტუალობის შესახებ მოკლე აღწერილობა წარმოადგინონ შემდეგ ელ-ფოსტის მისამართზე: [np@ei-lat.ge](mailto:np@ei-lat.ge)
- ✚ წერილის სათაურში მიეთითოს „პოლიტიკის დოკუმენტი“ და შესაბამისი სამუშაო ჯგუფი
- ✚ დოკუმენტის საბოლოო ვერსია მზად უნდა იყოს ამა წლის 10 სექტემბერს
- ✚ შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტები მთავრობას წარედგინოს მაღალი დონის კონფერენციაზე, რომელიც გაიმართება ა.წ 20 სექტემბერს, თბილისში.

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა